კურიკულუმი

დამატებითი პროგრამის დასახელება	**აგრობიზნესის მენეჯმენტი (MINOR)** **(Agribusiness Managment)**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	-
ფაკულტეტის დასახელება	ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/კოორდინატორი	მანანა შალამბერიძე- აგრობიზნესის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	პროგრამის ხანგრძლივობა - 6 სემესტრი, თითო სემესტრში - 10 კრედიტი; კრედიტების რაოდენობა - 60 ECTS კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის (გარდა რეგულირებადი პროგრამებისა) მესამე სემესტრის სტუდენტი.

პროგრამა სმიზნები

აგრობიზნესის მენეჯმენტის დამატებითი (minor) პროგრამის მიზანია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს:

- მისცეს აუცილებელი თეორიული ცოდნა აგრარული ბიზნესის სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი დებულებებისა და კატეგორიების შესახებ;
- ჩამოუყალიბოს პრაქტიკული უნარ–ჩვევები, რაც დაეხმარება ბიზნესის დაგეგმვასა და წარმართვაში აგრარულ სფეროში;
- შეძლოს მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების აგრარულ სფეროში პრაქტიკული რეალიზაცია.

სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)

ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებულმა იცის აგრარული დარგის სპეციფიკა, კერძოდ: აგრარული წარმოების თავისებურებები, აგრობიზნესის საწარმოთა რაციონალური გაძღოლის საფუძვლები; სოფლის მეუნეობის დარგში პროდუქციის წარმოების ეკონომიკურ–ორგანიზაციული პირობები და თავისებურებები; შესწავლილი აქვს მენეჯმენტის, როგორც მეცნიერული დისციპლინის არსი, პრინციპები, ფუნქციები, კანონზომიერებები.; მარკეტინგული გარემოს აღწერა, ფულის მიმოქცევის თანამედროვე სისტემები და რეგულირების ინსტრუმენტები; ფინანსური ურთიერთობები და ფინანსური კატეგორიები, მეურნე სუბიექტების თუ საოჯახო მეურნეობების ფინანსების ფორმირების წყაროები; რისკების და დაზღვევის არსი და სახეები;გადასახადის როლი და მნიშვნელობა, მათი გავლენა მეურნე სუბიექტების ფუნქციონირებაზე გადასახადების ზემოქმედება ეკონომიკური სუბიექტების აქტივობაზე.
უნარები	შეუძლია აგრარულ საწარმოში მიმდინარე ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებზე დაკვირვება და შედეგების გააზრება. შეუძლია ამოიცნოს აგრობიზნესში წამოჭრილი პრობლემები, გააკეთოს დასაბუთებული დასკვნები და მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილებები თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

	უნარი აქვს სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენებით წარმართოს საუბარი პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან. შეუძლია აგრობიზნესის მენეჯმენტის მიმართულებით სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	

სწავლების მეთოდები

აგრობიზნესის მენეჯმენტის (minor) პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლებისას გამოიყენება დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი მეთოდები, რომელთა განხორციელების ფორმები დაწვრილებით აღწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის მოცულობა არის 60 კრედიტი და მესამე სემესტრიდან ძირითად პროგრამასთან ერთად 10-10 კრედიტი ესწავლებათ.

სასწავლო გეგმა იხ დანართი 3.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები/

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად: საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:

- სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში*(მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს)*- არა უმეტეს 30 ქულა;
- შუალედური გამოცდა - არა ნაკლებ 30 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას.
შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში (აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ).

- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა.
- თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) -0 ქულა.
- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით.
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საფუძველი: საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3.

შენიშვნა: სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმებიგასაზღვრულიასასწავლო კურსების სილაბუსით.

სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმებიგანისაზღვრება სასწავლო კურსების სილაბუსით.

დასაქმების სფეროები

აგრობიზნესის მენეჯმენტის დამატებითი (minor) პროგრამის კურსდამთავრებულები შესაძლებელია დასაქმდნენ სოფლის მეურნეობის მმართველ რგოლებში, რეგიონული და მუნიციპალური მართვის ორგანოებში, აგრო-საკრედიტო ორგანიზაციებსა და ფონდებში, ფერმერთა საკონსულტაციო და სერვის ცენტრებში. ასევე შეძლებენ საკუთარი მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობის მართვას

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები: პროგრამას ემსახურება ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი. მათ შორის: პროფესორი–2; ასოცირებული პროფესორი - 6.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები: აგრობიზნესის მენეჯმენტის დამატებითი (minor) პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება შემდეგი მატერიალური რესურსები: აწსუ-ს სასწავლო კორპუსი (მისამართი: ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 21), ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები; ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტში არსებული სალიტერატურო ფონდი, უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრის აუდიტორიები.

სასწავლო გეგმა 2020

პროგრამის დასახელება: დამატებითი პროგრამა - აგრობიზნესის მენეჯმენტი

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლ/ჯგ	სემესტრი								დაშვების წინაპირობ
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	შუალედ.დ სკვნითი											
1	2	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
1	აგრობიზნესის საფუძვლები	5	125	45	3	77	2/1/0/3			x						–
2	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	45	3	77	2/1/0/3			x						–
3	სასურსათო უსაფრთხოება	5	125	45	3	77	1/2/0/3				x					–
4	მარკეტინგის პრინციპები	5	125	60	3	62	2/2/0/3				x					–
5	მიწის რესურსების მართვა	5	125	45	3	77	2/1/0/3					x				–
6	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი	5	125	60	3	102	2/2/0/3					x				-
7	სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია	5	125	45	3	77	1/2/0/3						x			1
8	რისკები და დაზღვევა	5	125	45	3	77	1/2/0/3						x			-
9	ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი	5	125	45	3	77	2/1/0/3							x		2
10	კვების მრეწველობის საწარმოთა ორგანიზაცია და მართვა	5	125	45	3	77	2/1/0/3							x		7
11	საგადასახადო საქმე	6	150	60	3	87	2/2/0/3								x	6
12	კონკურენცია აგროსასურსათო სექტორში	4	100	45	3	52	2/1/0/3								x	4
სულ		**60**	**1500**	**540**	**36**	**924**	-									